



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 ნოემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №358

შპს „გურია ტრეველი“-სათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „გურია ტრეველი“-ს (ს.კ.237096094) ეკოტურიზმის განვითარებისათვის გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემოქმედის თემის სოფელ გომში მდებარე 6000 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (ს/კ №26.33.23.103, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882012100710, მომზადების თარიღი 16/03/2012წ.).

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე